



AK-AIR GEORGIA

მის: ქ. მცხეთა, სოფ. ნატახტარი / Add: Village Natakhtari, Mtskheta, Georgia / მობ/M: +995 574 710 710

№ 25-09-30-001 ად

01 ოქტომბერი 2025წ

ამასთან წარმოგიდგენთ შპს „აკ ეარ ჯორჯია (სკ436041061)“-ს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ლევანი მაწიაშვილი

დირექტორი

შპს „აკ ეარ ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31
დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1


შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური მდგომარეობა (ლარი)

2024წლის 31 დეკემბრის შპს„აკ ეარ ჯორჯია“-ს მდგომარეობითფინანსური მდგომარეობა	31დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,980,762	4,271,309
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ ძირითადი საშუალებები	3,980,762	4,271,309
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	396,773	408,253
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,865,863	1,852,441
ფული და ფულის ეკვივალენტები	45,818	137,484
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისღები შემოსავალი	1647	78,067
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,310,101	2,476,245
სულ აქტივები	6,290,863	6,747,554
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,454,836	2,454,836
გაუნაწილებელი მოგება	-1,668,331	-1,623,857
სულ კაპიტალი	786,505	830,979
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	3,844,188	2,542,812
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,844,188	2,542,812
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	10,165	1,445,272
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	276,433	409,396
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,373,572	1,519,095
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,660,170	3,373,763
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	6,290,863	6,747,554

საქმიანობის შედეგები (ლარი)

წლიური შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:	2024	2023
შემოსავალი მზა პროდუქტის რეალიზაციიდან	0	0
შემოსავალი ძირითადი მომსახურების გაწევიდან	7,318,127	7,583,378
შემოსავალი სხვა საქმიანობიდან		
სულ შემოსავალი	7,318,127	7,583,378
რ. პ. თ. წარმოდგენილია შემდეგნაირად:	2024	2023
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	5,835,314	6,580,719
პირდაპირი ხელფასი	401,836	846,419
სულ თვითღირებულება	6,237,150	7,427,138
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:		
იჯარის ხარჯები	20,339	20,339
ცვეთა და ამორტიზაცია	648,990	711,257
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	47,625	33,801
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	0	7,670
საგადასახადო ხარჯი	24,673	26,131
საკანცელარიო ხარჯი	565	375
საკომუნიკაციო, კომპიუტერის და სამეურნეო ხარჯი	361	82
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	38,876	266,064
სულ ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები	781,429	1,065,719
შემოსავალი საფინანსო და სხვა საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	9,299	22,782
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება	0	356,912
სხვა შემოსავალი	43,502	68,892
სულ შემოსავალი საფინანსო და სხვა საქმიანობიდან	52,801	448,586
გასავალი საფინანსო და სხვა საქმიანობიდან		
გადახდილი საბანკო პროცენტი	235,401	233,756
სხვა ხარჯები	5,062	334,095
კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი,	156,361	-
სულ გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	396,824	567,851
საბოლოო შედეგი	-44,475	-1,028,744


შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი ლევან მაწიაშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობა (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2024-12-31	2023-12-31
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	245219	119679
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-13713	-77827
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(306,854)	42277
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-75348	84129
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-16319	8148
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	137484	45207
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	45,817	137484

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი ლევან მაწიაშვილი



შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. „აკ ეარ ჯორჯია“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2017 წლის 13 ივლისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 436041061;

2023 წელს, კომპანიის დამფუძნებლებში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. ფპ ამირან მანჯავიძე , საქართველო, პნ01007001797 - 49%
2. ფპ ირაკლი კუტალია, საქართველო, პნ 62001019316 – 2%

3. ფპ არტიომ სოლოდუხა, ლატვია, პნ 270988-10538 LV6152672 – 49 %

იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი , სოფელი ნატახტარი (აეროდრომი).

საზოგადოების დირექტორია: ლევანი მაწიაშვილი პირადი ნომერი 01017022140

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროა: საჰაერო ტრანსპორტით მგზავრების და ტვირთების გადაყვანა-გადაზიდვა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად კომპანიის მიერ დასახული მიზნებისათვის. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები კომპანიას არ გააჩნია.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხი

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. სესხის ღირებულებაში არ აისახება მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი (მაგალითად გაცემის საკომისიო). სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანიას ერიცხება სს „ბანკი ქართუ“-ს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება, სესხის ხელშეკრულება # 13/03-14-C16.

კომპანიას ასევე ერიცხება დოკუმენტალური ვალდებულებები სს ბანკი ქართუს მიმართ, რომლებიც აღრიცხულია ბალანსგარეშე ანგარიშებზე (გრძელვადიანი საბანკო გარანტიები)

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური

ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის იქნა გაწეულ.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 2021 წლის 30 მარტს გაფორმებული აქვს სს თიბის ლიზინგთან სალიზინგო ხელშეკრულება LGA-99716, 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, ლიზინგის მთლიანი ფასი არის 1 125 830,42 აშშ დოლარი საიდანაც დღე არის 171 736,84 აშშ დოლარი. ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადა შეადგენს 60 თვეს.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 1 ხელშეკრულება საოფისე ფართის იჯარაზე.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა/ება და დამტკიცდა/ება .

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის საანგარიშგებო თვეში. სქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო და/ან საარბიტრაჟო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24, დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2024წ	31 დეკემბერი 2023წ
ფული საღაროში	43,916	137,484
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	1901.58	0
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	0	0
	45,818	137,484

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები	1 865 863	1859 933
სულ	1 865 863	1 859 933

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	396773	408253
სხვა	-	-
სულ	396 773	408 253

2.6 ძირითადი საშუალებები

	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2024	2,232,062	25,232	4,304,277	6,561,571
შემოსვლა		5,602	1,534,001	1,539,603
გასვლა	0	0	1,181,160	1,181,160
ნაშთი 31.12.2024	2,232,062	30,834	7,019,438	6,920,014
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	-845,600	-13,707	-1,430,955	-2,290,262
ცვეთა წლის განმავლობაში	-176,383	-2,521	-470,086	-648,990
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	0	0
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-1,021,983	-16,228	-1,901,041	-2,939,252
ნეტო საბალანსო ღირებულება				
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2024	1,386,462	11,525	2,873,322	4,271,309
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2024	1,210,079	14,606	2,756,077	3,980,762

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	01 იანვარი 2024
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო ვალდებულებები	1,351,862	1,493,141
სხვა ვალდებულებები	21,710	37,360
სახელფასო ვალდებულებები	276,433	409,396
გადასახდელი დივიდენდები		
ჯამი	1,650,005	1,939,897

2.9 ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2024	01 იანვარი 2024
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10,165	649947
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,844,188	3,330,222

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს;

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს ფინანსური მენეჯერი ი. მღებრიშვილი

The image shows a handwritten signature in blue ink over a blue circular corporate stamp. The stamp contains the text "შპს 'აკ-ეარ ჯორჯია' დასაბუთებულია", "AK AIR", "436041061", and "AK-AIR GEORGIA LTD." around the perimeter.

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი ლევან მაწიაშვილი